# ცნობის ფურცელი

V წ. ყოველდღიური გამოცემა.— ოთხშაბათი, 24 მაისი 1900 წ. № 1133

**გაზეთის ფასი:** წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“ და „ცნობის ფურცლის“ რედაქციაში ვანქის ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

**რედაქცია** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტიროსოვის სახლი № 27.—ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე კვირა-უქმეების გარდა 11 საათიდან 1-ლ საათამდე. (შუადღითა).

ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цновисъ-Пурцели“—„Моамбе“.**

**ტელეფონი № 372.**



# სახალხო სეირნობა
## საქველმოქმედო ბაზრითურთ

«ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების» სასარგებლოდ დანიშნულია 28 და 29 მაისს მუშტაიდის ბაღში. შემოწირულებათა წარმოგზავნა ამ ბაზრისათვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძესთან, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21.

(ნ. 0—44)


### მთავრობის განკარგულებანი

კავკასიის სამხედრო ოლქის ჯარებში ჩარიცხულ კაპიტანს წითელაშვილს ებობა პოდპოლკოვნიკობა და სამსახურიდან დათხოვნილ იქმნა მუნდირით და პენსიით.

გარდაცვალებული პოლკოვნიკი 153-ის ბაქოს პოლკისა საგინაშვილი გამორიცხულ იქმნა სიებიდან.

კავკასიის საოლქო საინტენდანტო მმართველობის განყოფილების უფროსს, კოლეჟ. სოვ. დაფქვიაშვილს ებოძა სტატსკი სოვეტნიკობა.

ბაქოს სადამოყნო კონტორის მოხელეს გედევანიშვილს ებოძა კოლეჟ. რეგისტრატორობა.

ბათუმის დამოყნის მოხელეს გუბ. სეკრეტ. ჰყონიას და ფოთის დამოყნის მოხელეს გუბ. სეკრეტ. კლდიაშვილს ებოძათ კოლეჟ. სეკრეტრობა.

ბათუმის დამოყნის მოხელეს კოლეჟ. რეგისტრატ. დიდიას ებოძა გუბ. სეკრეტრობა.

ერევნის გუბერნიის სახელმწიფო ქონებათა მმართველობის საქმეთა მწარმოებლის თანამდბობის ალმასრულებელს ცალქალამიძეს ებოძა კოლეჟ. რეგისტრატორობა.

აზნაური ანტონ ლოლობერიძე და გიორგი გიორგაძე მიღებულ იქმნენ სამსახურში ფოსტალიონებად: პირველი—ერევნისა და მეორე—ალექსანდროპოლის ფოსტა-ტელეგრაფის კონტორებისა.

# ახალი ამბავი

✦ პეტერბურგში 1901 წელს გაიმართება მთელის რუსეთის საოჯახო მრეწველობას გამოფენა. იმავე დროს მოხდება კრება საოჯახო მრეწველობის მოღვაწეთა. გამოფენის მოწყობისათვის არჩეულ იქმნება სპეციალური კომისია გეოგრაფიულ საზოგადოების პრეზიდენტის მოადგილის სემენოვის თავმჯდომარეობით.

არ იქმნება ურიგო, ჩვენი სამეურნეო საზოგადოება ეხლავე შეუდგეს მეცადინეობას, რომ ჩვენი ქვეყნის მეტად მდიდარ საოჯახო მრეწველობამ საპატიო და შესაფერი მონაწილეობა მიიღოს მომავალ გამოფენაში.

✦ ფოთიდან გვატყობინებენ: 19 მაისს, ღამით, აქ მობრძანდნენ გზათა მინისტრი თავ. **ხილკოვი** და **პრინცი ოლდენბურგელი**. მეორე დღეს, დილით, ქალაქის თავის ნ. ნიკოლაძის თანხლებით დაათვალიერა ნავთ-სადგური, სადაც ამ ჟამად გახურებული მუშაობაა მისს გასაფართოებლად. ყოველისავე საქმის შესახებ დაწვრილებითს ცნობებს ქალაქის თავი აძლევდა. იმ დღესვე მინისტრი მცხეთას წავიდა, ხოლო პრინცი ოლდენბურგელი ბათომს წაბრძანდა.

✦ 15 მაისს სახელმწიფო საბჭომ გადასწყვიტა—გაძლიერებულ იქმნას **სამელიორაციო კრედიტის** ოპერაციები და გაადვილებულ იქმნას სესხის აღება სამეურნეო საჭიროებათათვის.

✦ გზათა სამინისტროში ამ ჟამად ირჩევა მეტად **საყურადღებო პროექტი** იმის შესახებ, რომ რკინის გზებზე მომუშავეთა და მოხელეთა ჯაფის შესამსუბუქებლად შემცირებულ იქმნას საქონლის მატარებელთა მიმოსვლა კვირა-უქმე დღეებში.

✦ **ყარსისა და ალექსანდროპოლის** შუა რკინის გზის მატარებელთა მიმოსვლა კვლავ დაიწყო.

✦ „მთავრობის განკარგულებათა და კანონთა კრებულის“ № 52 დაბეჭდილია ბრძანება იმის შესახებ, რომ ქ. **ოზურგეთი განთავისუფლებულ იქმნას დროებით იმ გარდასახადიდან**, რომელსაც ქალაქები იხდიან საპოლიციო დაწესებულებათა შენახვისათვის.

✦ ამ ჟამად **სამხედრო ბეგრის** ტფილისის მმართველობა იხილავს და ასწორებს სიებს იმ პირებისას, რომელნიც წელს უნდა იქმნენ გაწვეულნი სამხედრო სამსახურში. ამასთანავე მმართველობა ადგენს სიას იმ პირთა, რომელთაც, კანონის ძალით, შეღავათი რამ ეძლევა სამსახურის გადახდაში ან ვადა მიეცემა სწავლის დამთავრებისათვის. 25 მაისისათვის მმართველობამ უნდა წარუდგინოს გუბერნატორს ყველა ხსენებული სიები.

✦ გუშინ, 23 მაისს, ქალაქის საყასპოში ნიხრის დამწესებელ კომისიის მიერ დაკლულ იქმნა 18 მსხვილი საქონელი. აღმოჩნდა, რომ ახლა გირვანქა ხორცი უხარჯოდ ჯდება $7^1/_2$ კაპ. იმედია, ტფილისის გამგეობა შესცვლის ახლა ნიხრს.

✦ გუშინ ტფილისის გუბერნატორმა გაუგზავნა ქალაქის თავს ცნობა, რომ საბჭოს მიერ ქალაქის თავის მოადგილეთ არჩეული **თ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი** დამტკიცებულია ამ თანამდებობაში. თ. არღუთინსკი მეოთხე წელიწადია, რაც გამგეობის წევრად იქმნა არჩეული, ხოლო ამაზე ცოტა ადრე (მაისში) ხმოსნად აირჩია მაშინდელმა საქალაქო არჩევნების კრებამ. თ. არღუთინსკი ახალი დასის არჩეულია.

✦ **პირუტყვთა მფარველ საზოგადოების** უკანასკნელ საზოგადო კრებას საზოგადოების თავმჯდომარემ გენერალმა რეიტერმა მოახსენა, რომ სპარსეთის შაჰმა მიიღო დეპუტაცია პირუტყვთა მფარველ საზოგადოებისაგან, რომელმაც საპატიო პრეზიდენტის დიპლომი მიართვა მის უდიდებულესობას, აგრეთვე საზოგადოების წესდება და დარიგებანი, თუ როგორ უნდა მოექცეს ადამიანი პირუტყვთ, გადათარგმნილი სპარსულად. შაჰმა მადლობა უთხრა დეპუტაციას და მიიღო წოდება საზოგადოების საპატიო პრეზიდენტისა.

✦ დღეს, 25 მაის, ნიკიტინების ცირკის შენობაში გაიმართება ჩინელების წარმოდგენა **პირუტყვთ მფარველ საზოგადოების** სააავდმყოფოს სასარგებლოდ.

✦ ჯევანშირისა და განჯის მაზრების ზოგიერთ ადგილებში ამას წინად კალია გაჩნდა. როგორც იტყობინებიან, ენერგიულ ზომების წყალობით კალია სრულიად გასწყვიტეს.

✦ **სოჩისა და ტუაპსეს ოლქების მმართველობანი** დღემდის იმყოფებოდნენ სოფლებ ჯუბინსა და ადლერს. ეხლა კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწის ნებართვით ეს მართველობანი გადატანილ იქმნენ დაბებ სოჩასა და ტუაპსეში.

✦ ჩვენ გადმოგვცეს, რომ ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობას გადაუწყვეტია მომავალ სეზონში 100 ან 150 მანეთი შეწეობა მისცეს ტფილისის სახალხო კითხვათა კომისიას **ქართულ სახალხო წარმოდგენათა** საჭიროებათათვის.

✦ ფოთიდან გვწერენ: ადგილობრივის კლუბის დარბაზში 21 მაისს სცენის მოყვარეთაგან გამართული იყო **წარმოდგენა საქველმოქმედო აზრით**. წარმოადგინეს ერთ მოქმედებიანი ვოდევილი ვ. გუნიასი „ჩათრევას ჩაყოლა სჯობია“. წარმოდგენამ საერთოდ მწყობრად ჩაიარა. სხვებში ირჩეოდა სცენაზე პირველად გამოსული ე. კლდიაშვილისა, რომელსაც სასცენო ნიჭი ეტყობა. იმავე საღამოს ფოთის საზოგადოებამ მოისმინა ადგილობრივ ქალ-ვაჟთაგან შედგენილ გუნდის სიმღერები. გუნდის ლოტბარად იყო ბ-ნი ავქს. მეგრელიძე, და მისდა სასახელოდ უნდა ვსთქვათ, რომ მოკლე ხნის განმავლობაში საკმაოდ კარგად შეუსწავლებია გუნდისათვის ქართული ხმები. ზოგიერთი სიმღერები რამდენჯერმე განამეორებინა საზოგადოებამ. დასასრულ გაიმართა ევროპიული ცეკვა-თამაში, რომელმაც განთიადამდე გასტანა.

წარმოდგენას დაესწრო თითქმის მთელი ფოთის ქართველი საზოგადოება. შემოსავალი ოც თუმანს აღემატება.

✦ ბორჯომში საზაფხულო სეზონში იმოღვაწებს რუსული დრამატიული დასი, რომელშიაც სხვებთა შორის მონაწილეობას იღებს ჩვენი ცნობილი არტისტი ვლ. ალექსი-მესხიშვილი.

✦ ტფილ. გუბერნატორმა დაამტკიცა შემდეგი ნიხრი ხორცისა ახალქალაქისათვის: ერთი გირვანქა სუკი— 11 კაპ., ცხვრის ხორცი გირვანქა— 9 კაპ., თხის ხორცი გირვანქა—8 კ. და გამჩის—6 კაპ.

✦ სოფ. ხორგიდან (ზუგდიდის მაზრა) «ივერიას» სწერენ: „ამ დღეებში აქ შემდეგი გულშემზარავი ამბავი მოხდა: ამ სოფლის მცხოვრებ ძმებს ერთმანეთში უკმაყოფილება მოუვიდათ; უფროსმა ძმამ უმცროსს რამდენიმე სილა სტკიცა; უმცროსმა ძმამ მაშინ არა უთხრა რა, მაგრამ ღამით, როდესაც მთელს ჯალაბობას ეძინა, ბასრი წალდი დაჰკრა კისერზედ და თავი მოაგდებინა. მკვლელი იმ ღამეს მეზობელს შეეფარა და უამბო, რაც შეემთხვა. მეზობელმა გაიგო თუ არა ეს სამწუხარო ამბავი, თავისის ცოლ-შვილის დახმარებით ეს კაცი შეჰკრა თოკით და თითონ წავიდა ამბის შესატყობათ. მძინარე ჯალაბობა, რომელსაც არაფერი სცოდნოდა ჯერ, გაალვიძა და მაშინ ასტყდა კივილ-წივილი. მკვლელი მეორე დღეს პოლიციას გარდასცეს.

---

# დეპეშები

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**22 მაისი**

**პეტერბურგი.** 22 მაისს პეტერბურგს დაბრუნდა საერო განათლების მინისტრი.

გარდაიცვალა რუსეთის ელჩი შვეიცარიაში ალექსანდრე იონინი.

**პოლტავა.** სკიტსკების საქმე. განხილულ იქმნა სკიტსკების საფოსტო წიგნები. სკიტსკიმ ჩააბარა 14 ივლისს ცამეტი პაკეტი. რეალურ სასწავლებლის მასწავლებელმა გნატოვიჩმა ნახა სკიტსკები იმ დღეს საღამოს: ისინი მდინარეზე ტანს იბანდნენ. დამტკიცდა, რომ 14 ივლისს სკიტსკები მონასტერში იყვნენ ნასადილევს; იქმოლჩანოვმა უამბო მათ კომიროვის მოკვლის ამბავი; სკიტსკებმა გაიკვირეს და შემდეგ პირჯვარი გადიწერეს. კონსისტორიაში მსახურ მღვდლებმა განმარტეს, თუ რა დამოკიდებულება ჰსუფევდა მდივნის კომაროვის და სკიტსკის შუა: კომაროვი ცდილობდა, რომ სკიტსკი გადაყვანილ ყოფილიყო ისევ საქმეთა მწარმოებელის თანამდებობაზე; ამ შემთხვევაში სკიტსკის ჯამაგირს 100 მან. ემატებოდა. სახაზინადრო ნაწილში ყოველივე წეს-რიგზე აღმოჩნდა, მაგრამ, საზოგადოდ, სკიტსკი ვერ იყო ბეჯითი მსახური.

**როსტოვი-დონზე.** ჩამოვიდა გზათა მინისტრი და დღესვე გაემგზავრა ეკატერინეს გზით.

**არხანგელსკი.** ძველის ქარვასლის დაქცევის დროს ნანგრევებ ქვეშ მოჰყვა ორი მუშა; მათი მდგომარეობა უნუგეშოა.

**ხარკოვი.** საქალაქო ბანკების წარმომადგენელთა კრებამ დაასრულა ყველა დანიშნულ საგნების განხილვა. შუამდგომლობათა შედგენისათვის და სადაც ჯერ არს წარდგენისათვის არსდება კრების სამუდამო ბიურო.

**ტიანძინი.** მიღებულია ცნობები ამერიკელ და ინგლისელ მისსიონერების საშიშ მდგომარეობის შესახებ პაოტინფუში.

**პეკინი.** მოვიდნენ გერმანელი და ავსტრიელი რაზმები.

**ნიუ-კესტლი.** არა სჩანს, რომ ბურებს განზრახვა ჰქონდეთ ლენგონეკის დატოვებისა. დრაკონის მთებს იცავენ მცირე რაზმები ორანჟეს ბურებისა.

**ნიუ-იორკი.** მახადოდორპიდან მოვიდა კრიუგერის დეპეშა, რომლითაც ის აცხადებს, რომ ბურები არ შესწყვეტენ ბრძოლას, სანამდის კი ეს შესაძლებელი იქნება.

**ლორენცო-მარკეზე.** პრეტორიიდან იტყობინებიან ოფიციალურად, რომ 18 მაისს ირენთან მოხდა საშინელი ბრძოლაო. ბურებმა დაიცვეს თავისი პოზიციებიო.

მახადოდორპიდან ყოველ დღე იგზავნება ლეიდენბურგს 15 მატარებელი, დატვირთული სურსათ-სანოვაგით.

**23 მაისი.**

**პოლტავა** სამოსამართლო პალატამ დაათვალიერა ყველა ის ადგილები, რომელთ შესახებ ლაპარაკია სკიტსკების საქმეში. მოწმების თანადასწრებით სკიტსკებს ჩააცმევენ იმავე ტანისამოსს, რომელიც მათ ეცვათ 14 ივლისს.

**ტიანძინი.** ინგლისელი მისიონერი რობინსონი და მასთან 5 მკვიდრი მოკლულ იქმნენ. ნორმანი, მისსიის მოხელე, ტყვედ არის წაყვანილი და საშიშ მდგომარეობაშია.

**სოფია.** ბოლგარიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა დიფერენციალურ ბაჟის წინააღმდეგ; მიზეზად პროტესტისა დაასახელა თვისი დამოკიდებულება ოსმალეთისაგან და აგრეთვე ის გარემოება, რომ სავაჭრო კონვენციის ვადა ჯერ არ გათავებულა. ბოლგარიის, სერბიის და რუმინიის მთავრობანი თხოულობენ, რომ სადავო კითხვა გარდაეცეს ვანსახილველად შეერთებულს კომისსიას.

**პეკინი.** დილას თანხმობისა და ალექსანდრე III ხიდებს შუა ორი სამგზავრო გემი დაეჯახა ერთმანეთს, ერთი მათგანი ცარიელი იყო, მეორე კი სავსე მგზავრებით. ცარიელი გემი დაიღუპა. არ იციან, თუ უბედურების მსხვერპლად შეიქმნა ვინმე.

დრ. რედ. **ალ. ჭყონია**

---


# განცხადებანი

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 26 მაისს, ამა 1900 წელს დანიშნულია საჯარო ვაჭრობა მეხამეთათვის შენობის აგებაზე, საქალაქო საყასპოეპთან მე-7 პოლიციის ნაწილში, ქ. ტფილისში, ნავთლუღში; შენობა 5700 მან. [illegible]. ვისაც ჰსურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში, პირობანი შეუძლიან გასინჯოს გამგეობის მესამე სატეხნიკო განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ნ. 3—2

**ტფილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს,** რომ, მის თანადასწრებით, შუადღის 12 საათზე, 26 მაისს, ამა 1900 წელს, დანიშნულია საჯარო ვაჭრობა შესახებ 700 ოთხკუთხი საჟენის ზაქსის (გრანიტი) კუბიკების ჩაბარებისა ქალაქის ქუჩების დასაფენად. ვისაც ჰსურს მიიღოს მონაწილეობა ვაჭრობაში, შეუძლია პირობები გასინჯოს გამგეობის მესამე განყოფილებაში (სატეხნიკო) ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, (ნ 3—2)

# ვექილი
## ა. მ. ახნაზაროვი

გადავიდა ნიკოლოზის ქუჩაზე, სახლი № 42.

დილის 8—10 საათ. და საღამ, 6—8 საათამდის. (10—7)

---

# ОТЪ КОНТОРЫ ГАЗЕТЫ
# „НОВОЕ ОБОЗРѢНІЕ“

Изданіе газеты „**Новое Обозрѣніе**“ будетъ возобновлено ***съ 18-го августа настоящаго года.***

Подписчики прошлаго года, непожелавшіе взять обратно оставшихся за конторой денегъ, будутъ получать газету ***безъ доплаты*** съ 18-го августа по 1-е октября. Тѣ изъ нихъ, которые пожелаютъ получать газету и затѣмъ, съ 1-го октября по 1-е января 1901 г., доплачиваютъ 2 руб. 50 коп. Новые же подписчики за время съ 18-го августа по 1-е января 1901 года платятъ 3 руб. 50 коп.

Подписчики прошлаго года, въ случаѣ перемѣны адреса за время до 18-го августа, сообщаютъ о томъ заблаговременно въ контору „Нов. Обозр.“, причемъ особой доплаты за перемѣну адреса не вносятъ.

**ДЛЯ ПРІЕМА ПОДПИСКИ И ОБЪЯВЛЕНІЙ** контора (Барятинская, д. кн. Тумановыхъ) открыта по вторникамъ и пятницамъ—отъ 6 до 7 час. вечера. (3—ф.—1)


გამომც. გ. ჭყონია

Дозволено цензурою. Тифлисъ, 23 Мая, 1900 г. სტამბა წიგნების გამომცემ. ქართ. ამხ—ს. ვანქის დიდი ქუჩა, № 27.